საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება

N1054

01.12.2010წ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ დაცვის ობიექტების კანონიერი ინტერესების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის ,,ა'' და ,,ნ'' ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ დაცვის ობიექტების კანონიერი ინტერესების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის თაობაზე'' თანდართული ინსტრუქცია (დანართი N1);

2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 25 ოქტომბრის N1157 ბრძანება.

3.ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი ივანე მერაბიშვილი

დანართი N1

დამტკიცებულია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2010 წლის „01'' 12 N1054 ბრძანებით

ინსტრუქცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების მიერ დაცვის ობიექტების კანონიერი ინტერესების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.წინამდებარე ინსტრუქციით რეგულირდება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) ქონების (შემდგომში-ობიექტები) კანონიერი ინტერესების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის განხორციელებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომში-დეპარტამენტი) დანაყოფების მიერ სამსახურის ორგანიზების საკითხები;

2.ობიექტების და მათი კანონიერი ინტერესების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის მიზნით, დეპარტამენტის დანაყოფებში იქმნება ობიექტების დაცვის ქვედანაყოფები. დაცვით საქმიანობაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აგრეთვე მონაწილეობენ დეპარტამენტის სხვა დანაყოფები;

3.ობიექტების დაცვის ქვედანაყოფები უშუალოდ ექვემდებარებიან დეპარტამენტის დანაყოფების (სამმართველოები, სამსახურები, განყოფილებები, ქვეგანყოფილებები) უფროსებს, რომლებიც პერსონალურად პასუხისმგებელნი არიან ამ ქვედანაყოფებში სამსახურის სწორ ორგანიზებაზე.

მუხლი 2. ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარებანი

1.ობიექტის დაცვის ქვედანაყოფები - დეპარტამენტის დანაყოფების დაქვემდებარებაში შემავალი ობიექტის დაცვის საქმიანობის უშუალო განმახორციელებელი ერთეული;

2.საგუშაგო - ადგილი ან ტერიტორიის მონაკვეთი, სადაც პოლიციელი ასრულებს სამსახურებრივ მოვალეოებებს;

3.სტაციონალური საგუშაგო - საგუშაგო, რომლის საზღვრების დაშორება საგუშაგოს ცენტრიდან არ აღემატება 150 მეტრს და ახორციელებს ისეთი ობიექტის (ობიექტების) დაცვას, რომელიც საჭიროებს მუდმივ მეთვალყურეობას;

4.პატრულირება - მოძრავი განწესი, როგორც წესი, ერთი ან რამდენიმე პოლიციელის შემადგენლობით, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს განსაზღვრულ სამოქმედო ტერიტორიაზე;

5.პატრული - პოლიციელი, რომელიც ობიექტის დაცვის მიზნით ახორციელებს პატრულირებას;

6.მოძრავი საგუშაგო - განსაზღვრული სამოქმედო ტერიტორია, რომელზედაც პოლიციელები ასრულებენ პატრულირების გზით;

7.განწესი/ცვლა - დანაყოფი ან თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც ასრულებს ცალკეულ (წინასწარ განსაზღვრულ) დავალებებს;

8.განსაზღვრული სამოქმედო ტერიტორია - პოლიციელთა სამოქმედო ტერიტორია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს;

9.საპატრულო - საგუშაგო ჯგუფი - ორი ან მეტი პატრულის შემადგენლობა, რომლებიც გაერთიანებული არიან სამსახურის შესასრულებლად ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ;

10.ოპერატიული რეაგირების ჯგუფი - ამ ინსტრუქციით განსაზღვრული პოლიციელთა შემადგენლობა, რომელიც სიგნალ ,,განგაშზე'' ახდენს

რეაგირებას;

11სიგნალი ,,განგაში'' - ობიექტიდან ან/და საპატრულო-საგუშაგო განწესებიდან შემოსული სიგნალი დაცვის რეჟიმის დარღვევის შესახებ.

მუხლი 3. ობიექტის და მისი კანონიერი ინტერესების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის ორგანიზება

1.ობიექტის დაცვას ხელმძღვანელობენ დეპარტამენტის დანაყოფების უფროსები;

2.პატრულირების მარშრუტებს (სექტორებს) და პოლიციის განწესების სტაციონალური ამ მოძრავი საგუშაგოების დისლოკაციას ამუშავებს დეპარტამენტის უფლებამოსილი დანაყოფი ოპერატიული მდგომარეობის, დასაცავი ობიექტების ტექნიკურად, გამაგრების, დაცვის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისა და ცენტრალიზებული დაცვის პულტზე ჩართვის გათვალისწინებით;

3.ობიექტის დაცვა შესაძლებელია განხორციელდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, ქვეითად პატრულირების გზით ან სტაციონალური საგუშაგოს მეშვეობით. პატრულირება შეიძლება განხორციელდეს სხვა საშუალებებიტაც დადგენილი წესის შესაბამისად;

4.სამსახურის დაწყების წინ პოლიციის განწესს უტარდება ინსტუქტაჟი საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ. უფლებამოსილ პირს გამოყოფს და ინტრუქტაჟის ჩატარების ადგილს განსაზღვრავს დანაყოფის ხელმძღვანელი;

5.ინსტრუქტაჟის დაწყებამდე მოწმდება განწესის დროული გამოცხადება, სამსახურში გამსვლელი პოლიციელების მზადყოფნა და ეკიპირება, ავტოტრანსპორტის და სპეციალური საშუალებების გამართულობა, ზუსტდება პატრულირების მარშრუტები;

6.ინსტრუქტაჟის დაწყებამდე სამსახურში გამსვლელი პოლიციელები 15 წუთით ადრე ცხადდებიან ინსტრუქტაჟის ჩატარების ადგილზე, დადგენილი წესით უფლებამოსილი პირისგან იბარებენ განწესის

მოძრაობის მარშრუტს, ტექნიკურ საშუალებებს, სხვა აღჭურვილობასა და სატაბელო იარაღს;

7.ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამავე ობიექტის უფლებამოსილი პირის წერილობით შუამდგომლობაზე დეპარტამენტის ხელმძღვანელობის თანხმობით პოლიციელებს შეიძლება დაერთოთ ნება სამსახურის სამოქალაქო ტანსაცმლით შესრულებაზე;

8.საგუშაგოზე ან საპატრულო მარშრუტზე სამსახურის უწყვეტად შესრულების ხანგრძლივობა, როგორც წესი არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს. 8 საათიანი სამუშაო გრაფიკის დროს პოლიციელს ეძლევა ერთ საათიანი შესვენება სამსახურის შესრულების საერთო ხანგრძლივობიდან; 12 საათიანი სამუშაო გრაფიკის შემთხვევაში ეძლევა 1 საათი და 30 წუთი; 24 საათიანი სამუშაო გრაფიკის შემთხვევაში 3 საათი;

9.ოპერატიული ვითარების გართულებისას, საგანგებო ვითარების წარმოქმნისას (სტიქიური უბედურება, ხანძარი, დიდი საწარმოო ავარიები, კატასტროფები, ეპიდემიები და სხვა), მასობრივი ღონისძიებების გატარებისას (საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-სანახაობრივი, სპორტული და სხვა) შეიძლება შემოღებულ იქნას საპატრულო-საგუშაგო სამსახურის შესრულების გაძლიერებული ვარიანტი;

10.ჰაერის ტემპერატურის - 20^0C და ქვევით, აგრეთვე +35^0C და ზევით დაფიქსირების შემთხვევაში, განწესის მიერ სამსახურის უწყვეტად შესრულების ხანგრძლივობა საგუშაგოზე და მარშრუტზე არ უნდა აღემატებოდეს ორ საათს. საჭიროების შემთხვევაში ხდება განწესის შეცვლა;

11.განწესისათვის, რომელიც სამსახურს ასრულებს სატრანსპორტო საშუალებით, იგეგმება პატრულირების მარშრუტი (სექტორი) 40 ობიექტამდე რაოდენობით - მარშრუტის სიგრძე 4-8 კმ, ხოლო ქვეითი განწესისათვის 20 ობიექტამდე რაოდენობით - მარშრუტის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 1.5 კმ;

12.პატრულირების გზით (მოძრავი საგუშაგო) ხორციელდება იმ ობიექტის დაცვა, რომელიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე არ საჭიროებს მუდმივ კონტროლს და არ არსებობს მის შემდგომ დათვალიერებამდე ფასეულობის დატაცების მომეტებული საფრთხე. სტაციონალური საგუშაგოს მეშვეობით დაცვა ხორციელდება ისეთ ობიექტზე, რომელიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროებს მუდმივ კონტროლს და არსებობს ფასეულობის დატაცების მომეტებული საფრთხე;

13.საპატრულო განწესის მიერ ობიექტის დაცვის ქვეშ მიღების დრო, როგორც წესი პირველ შემოვლაზე არ უნდა აღემატებოდეს 1 საათსა და 30 წუთს, ხოლო შემდგომი დათვალიერებისას 1 საათს. საპატრულო-საგუშაგო განწესის დრო განისაზღვრება ობიექტის დაცვის ხელშეკრულებით;

14.საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ხანგრძლივობა განისაზღვრება ობიექტის დაცვის სპეციფიკური პირობების (ადგილმდებარეობა, კრიმინოგენური ვითარება, მანძილი ობიექტისა და დაცვის ქვედანაყოფს შორის და სხვა) გათვალისწინებით;

15.საპატრულო-საგუშაგო განწესი და ოპერატიული რეაგირების ჯგუფის სამსახურის შესასრულებლად დადგენილი წესის შესაბამისად შესაძლებელია იყენებდეს სასამსახურეო ძაღლებს;

16.საპატრულო განწესი და სტაციონალური საგუშაგოს განწესი შედგება ერთი ან რამდენიმე პოლიციელისაგან;

17.ერთი პოლიციელის მიერ სამსახურის შესრულება დასაცავ ობიექტზე დასაშვებია თუ მის მიერ სამსახურის უწყვეტად შესრულების ხანგრძლივობა არ აღემატება ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ დროს, ობიექტის სპეციფიკა და ხელშეკრულების პირობები არ მოითხოვს პოლიციელისაგან უწყვეტ და ინტენსიურ მოქმედებას და აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მისთვის დახმარების გაწევა ან მისი ჩანაცვლება;

18.საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქვეითად პატრულირების დროს პოლიციელი ისე ირჩევს პატრულირების ადგილს, რომ

უზრუნველყოს პირადი უსაფრთხოება და შეძლოს სიტუაციის კონტროლი, რათა დროულად აღკვეთის დანაშაული და სხვა სამართალდარღვევა;

19.საპატრულო-საგუშაგო განაწესის მიერ სამსახურის შესრულება კონტროლდება დეპარტამენტის დანაყოფის პასუხისმგებელი მორიგის მიერ 1 საათში ერთხელ.

მუხლი 4. დაცვის ორგანიზაციის დანაყოფი

1.კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ორგანიზებას უწევს ობიექტების ცოცხალი ძალით ან/და ტექნიკური საშუალებებით დაცვაში აყვანას და განსაზღვრავს დაცვის განმახორციელებელ ქვედანაყოფს;

2.მომსახურების ზონის მიხედვით ადგენს დაცვაში მყოფი ობიექტების დისლოკაციას და აწარმოებს მათ პირად საქმეებს (საქმეში თავსდება დასაცავ ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება, მოკვლევის აქტი, დასაცავ ობიექტთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებები და ა.შ);

3.ექვს თვეში ერთხელ უზრუნველყოფს ობიექტებზე დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შემოწმებას, ახდენს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრას;

4.დეპარტამენტის ხელმძღვანელებს დასაცავ ობიექტებზე დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით წარუდგენს წინადადებებს;

5.კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტებზე დეპარტამენტის და შსს შესაბამისი დანაყოფების ინფორმირებას, ასევე შემთხვევის ადგილის დადგენილი წესით დაცვის ორგანიზებას;

6.ახორციელებს სამსახურებრივი დოკუმენტაციის სწორად წარმოებას და გამოვლენილი დარღვევების დროულ აღმოფხვრას.

მუხლი 5. სამორიგეო ქვედანაყოფი

1.კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საპოლიციო ძალებით დაცულ ობიექტებზე საპატრულო-საგუშაგო განწესის მიერ ობიექტის დაცვის მომსახურების შესრულებას;

2.კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტებზე დეპარტამენტის, შსს შესაბამისი დანაყოფების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმირებას და მათ კოორდინირებულ მოქმედაბას.

მუხლი 6. ობიექტის ტექნიკური საშუალებებით დაცვის უზრუნველყოფის დანაყოფი

1.ახდენს დასაცავ ობიექტებზე დაცვის ტექნიკური საშუალებების დამონტაჟება-ექსპლუატაციას, მათი გამართული მუსაობის ორგანიზებას და ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლს;

2.უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტიდან შემოსული სიგნალი ,,განგაში''-ს შესაბამის დანაყოფზე გადაცემას, მიზეზების დადგენას და კომპეტენციის ფარგლებში შემდგომი რეაგირების საკითხის განსაზღვრავს;

3.უზრუნველყოფს დეპარტამენტის დანაყოფებს შორის კომუნიკაციის საშუალებების გამართულ მუშაობას;

4.ახორციელებს სამსახურებრივ დოკუმენტაციისა და დასაცავი ობიექტების პირადი საქმეების არქივის წარმოებას;

5.ახდენს ობიექტების ტექნიკური საშუალებებით დაცვის კუთხით ახალი ტექნოლოგიების მოძიება-დანერგვას.

მუხლი 7. ოპერატიული რეაგირების ჯგუფი

1.ოპერატიული რეაგირების ჯგუფის ამოცანაა, უზრუნველყოს ტექნიკური საშუალებებით დაცული ობიექტების ოპერატიული მომსახურება, სიგნალ ,,განგაშზე'' რეაგირება, მისი მიზეზების დადგენა და კომპეტენციის ფარგლებში მათი აღკვეთა დეპარტამენტის შესაბამის დანაყოფებთან კოორდინირებული მოქმედებით.

2.ოპერატიული რეაგირების ჯგუფის დისლოკაციის ადგილიდან განისაზღვრება დასაცავად ჩართული ობიექტების დიდი კონცენტრაციის ადგილები.

3.ოპერატიული რეაგირების ჯგუფის გადაადგილება ხორციელდება სპეციალურად დამუშავებული მარშრუტით.

4.ოპერატიული რეაგირების ჯგუფი ახორციელებს სამსახურებრივი დოკუმენტაციის სწორად წარმართვას და გამოვლენილი დარღვევების დროულად აღმოფხვრას.

5.ოპერატიული რეაგირების ჯგუფი კომპლექტდება და როგორც წესი, სამსახურს ასრულებს მინიმუმ ორი სათანადოდ მომზადებული პოლიციელის მეშვეობით, რომლებმაც უნდა იცოდნენ ყველა იმ დასაცავი ობიექტის განლაგება, რომელიც ჩართულია ცენტრალური დაკვირვების პულტზე, ასევე ობიექტის თავისებურებანი, სუსტი ადგილები, ფარული მისასვლელები და მისადგომები. მიღებული სიგნალ ,,განგაშის'' შესაბამისად შესაძლებელია ოპერატიული რეაგირების ჯგუფის შემადგენლობისა და რაოდენობის გაზრდა.

6.სიგნალ ,,განგაშზე'' ოპერატიული რეაგირების ჯგუფის გასვლა ხორციელდება:

ა) დაუყოვნებლივ;

ბ) სპეციალური აღჭურვილობისა (ხმამაღლამოლაპარაკე, სანათი და

ხმოვანი ხელსაწყოები) და შეფერილობის მქონე, რადიოკავშირით აღჭურვილი ავტომანქანით (შემდგომში-სპეცავტომანქანა);

გ) პოლიციელის მიერ გამართულ მდგომარეობაში არსებული სპეციალური აღჭურვილობით - ცეცხლსასროლი იარაღით (სამსახურებრივ-საშტატო იარაღი), ჯავშალჟილეტით, რადიოსადგურით, ინდივიდუალური სატელეფონო კავშირით და სამხრე ვიდეოკამერით.

7.ოპერატიული რეაგირების ჯგუფი სიგნალ ,,განგაშზე'' გასვლიდან მოზეზების აღმოფხვრამდე უკავშირდება უშუალო უფროსსა და სამმართველოს სამორიგეო დანაყოფს და გადასცემს ინფორმაციას ოპერაციის თანამიმდევრობის, ოპერატიული რეაგირების ჯგუფის ადგილსამყოფლისა და გადაადგილების შესახებ.

8.პოლიციელი, რომელიც მართავს ცპეცავტომანქანას ვალდებულია:

ა) სიგნალ ,,განგაშზე'' გასვლისას სპეცავტომანქანაზე ჩართული ჰქონდეს ფარები და სპეციალური სიგნალები (ლურჯი და წითელი ფერის შუქურები);

ბ) უზრუნველყოს ოპერატიული რეაგირების ჯგუფის უსაფრთხო და ოპერატიული გადაადგილება, გამოუვალი და ექსტრემალური სიტუაციების გარდა არ დაარღვიოს საგზაო მოძრაობის წესები და მინუმუმამდე შეამციროს გზებზე მოძრაობისა და მოქალაქეთა გადაადგილების შეფერხება;

გ) უზრუნველყოს ობიექტზე მისვლისას ცპეცავტომანქანის უსაფრთხო პარკირება ობიექტთან მინიმალური დაშორებით ისე, რომ მაქსიმალურად განახორციელოს გარშემო პერიმეტრის ვიზუალური კონტროლი. სპეცავტომანქანის ძრავა, ფარები და სპეციალური

სიგნალები (ლურჯი და წითელი ფერის შუქურები) რჩება ჩართულ მდგომარეობაში სიგნალ ,,განგაშის'' მიზეზების დადგენამდე;

დ) როგორც წესი, დარჩეს სპეცავტომანქანაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტზე არსებული ვითარება მოითხოვს ოპერატიული რეაგირების ჯგუფისათვის დახმარების გაწევას.

9.ოპერატიული რეაგირების ჯგუფი ვალდებულია სიგნალ ,,განგაშის'' მიღებიდან არა უგვიანეს 5 ჭუთის განმავლობაში გამოცხადდეს ობიექტზე, თუ ობიექტის დაცვის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული და გამოიძახოს ობიექტის მეპატრონე ან მისი წარმომადგენელი, განახორციელოს ობიექტის საგულდაგულო დათვალიერება დაც რაიმე სახის დაზიანების აღმოცენის სემთხვევაში შეატყობინოს სამმართველოს ხელმძღვანელობასა და სამორიგეო დანაყოფს, შესაბამის განყოფილებას, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და იმოქმედოს მიღებული მითითებების შესაბამისად.

10.ოპერატიული რეაგირების ჯგუფი უფლებამოსილია, დაცვის ობიექტზე გამოცხადებისთანავე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ვიდეო-აუდიოჩაწერა სამართალდარღვევაზე რეაგირების, დაცვის ობიექტის კანონიერი ინტერესებისა და პოლიციელის უფლებების დაცვის, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ვიდეო-აუდიოჩანაწერის შედეგად მიღებული მონაცემების 1 (ერთი) თვის ვადით, კანონით დადგენილი წესით შენახვასა და გამოყენებას უზრუნველყოფს დეპარტამენტი. ოპერატიული რეაგირების ჯგუფი ვალდებულია ვიდეო-აუდიოჩანაწერის შესახებ აცნობოს დამკვეთს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს.

11.ოპერატიული რეაგირების ჯგუფის ვალდებულებების და შეზღუდვები:

ა) ოპერატიული რეაგირების ჯგუფი ვალდებულია:

ა.ა) არ მიატოვოს უყურადღებოდ მასზე მიმაგრებული ცეცხლსასროლი იარაღი და არ გადასცეს სხვა პირს;

ა.ბ) რადიოსადგურით სარგებლობისას მკაცრად დაიცვას სასაუბრო ეთიკა;

ა.გ) უზრუნველყოს რადიოსადგურით ინფორმაციის ლაკონურად, მკაფიოდ და გარკვევით გადაცემა;

ა.დ) გამოიყენოს რადიოეთერი მხოლოდ სამსახურებრივი დანიშნულების ინფორმაციის გადასაცემად;

ა.ე) არ შეაფერხოს სხვა ჯგუფის რადიოკავშირი საკუთარი ინფორმაციის გადაცემით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას;

ა.ვ) მუდმივი კავშირი იქონიოს სამმართველოს სამორიგეო დანაყოფთან და სისტემურად მიაწოდოს ინფორმაცია ოპერაციის თანამიმდევრობის, ოპერატიული რეაგირების ჯგუფის ადგილსამყოფლისა და გადაადგილების შესახებ;

ა.ზ) სამმართველოს სამორიგეო დანაყოფის ან ხელმძღვანელის რადიოეთერში გასვლისას ვალდებულია შეწყვიტოს რადიოგადაცემა და

მოისმინოს გადმოცემული ინფორმაცია.

12.ოპერატიული რეაგირების ჯგუფის სიგნალ ,,განგაშზე'' გასვლისას ეკრძალება:

ა) სპეცავტომანქანის გაჩერება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს მოძრაობის წესები და უსაფრთხოება);

შენიშვნა: სპეცავტომანქანის არაგეგმური გაჩერების შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია გზის გაგრძელება, ოპერატიული რეაგირების ჯგუფი დახმარების აღმოჩენის მიზნით, მომხდარი ფაქტისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ გადასცემს სამმართველოს სამორიგეო დანაყოფს, საიდანაც დაუყოვნებლივ ეცნობება დეპარტამენტის სამორიგეოს და სამინისტროს შესაბამის დანაყოფს.

ბ) უცხო პირებთან კონტაქტი;

გ) ტელეფონით სარგებლობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად);

დ) სპეცავტომანქანაში გარეშე პირების დაშვება;

ე) ისეთი მოქმედების განხორციელება, რომელიც არ არის დაკავშირებული სამსახურებრივ მოვალეობასთან.

შენიშვნა: ადამიანის სიცოცხლესთან ან/და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხის არსებობისას ოპერატიული რეაგირების ჯგუფი უზრუნველყოფს ინფორმაციის სამმართველოს სამორიგეო დანაყოფისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას.

13.ოპერატიული რეაგირების ჯგუფის თავდასხმის ან თავდასხმის მცდელობის შემთხვევაში უფლება აქვს გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები ,,პოლიციის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.''

მუხლი 8. ობიექტის დაცვის ქვედანაყოფი

1.სამსახურის ძალებისა და შაშუალებების გამოყენებით უშუალოდ ახორციელებს ობიექტის დაცვას მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

2.უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის სამსახურის შესასრულებლად მომზადებას და წინასწარ შედგენილი დისლოკაციის შესაბამისად განლაგებას;

3.აცნობოს პირად შემადგენლობას მარშრუტებსა და საგუშაგოებზე სამსახურის შესრულების პრინციპებს, დასაცავი ობიექტების სემოწმების წესებსა და ხერხებს;

4.უზრუნველყოფს მასზე რიცხული შეიარაღების, აღჭურვილობისა და მიმაგრებული სატრანსპორტო საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ქონას;

5.კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტებზე დეპარტამენტის და შსს შესაბამისი დანაყოფების ინფორმირებას, ასევე შემთხვევის ადგილის დადგენილი წესით დაცვას;

6.კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს ობიექტის ადმინისტრაციასთან ან/და უფლებამოსილ პირებთან;

7.ახორციელებს სამსახურებრივი დოკუმენტაციის სწორედ წარმოებას და გამოვლენილი დარღვევების დროულ აღმოფხვრას;

8.უზრუნველყოფს დასაცავ ობიექტზე შრომის და უსაფრთხოების წესების დაცვას;

9.დასაცავ ობიექტზე დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით წარუდგენს წინადადებებს უშუალო და დეპარტამენტის ხელმძღვანელობას.

მუხლი 9. საპატრულო-საგუშაგო განწესი

1.უზრუნველყოფს ობიექტის დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

2.სამსახურის დაწყების წინ, ამოწმებს მიმაგრებული სატრანსპორტო საშუალების, ცეცხლსასროლი იარაღის და სპეციალური საშუალებების მდგომარეობას;

3.ობიექტზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის რეჟიმის დარღვევის ფაქტზე ატყობინებს დეპარტამენტის დანაყოფის პასუხისმგებელ ან სამორიგეო დანაყოფის მორიგეს და შესაძლებლობის შემთხვევაში იღებს ზომებს მის აღმოსაფხვრელად;

4.პასუხისმგებელია რადიოგაცვლის წესების დაცვაზე.

მუხლი 10. კონტროლის ორგანიზება სამსახურის შესრულებაზე

1.განწესის მიერ გაწეული სამსახურის შესრულების კონტროლს ახორციელებენ დეპარტამენტის, სამმართველოს, განყოფილების, ქვეგანყოფილების ხელმძღვანელები, აგრეთვე დეპარტამენტის

საამისოდ უფლებამოსილი დანაყოფი;

2.კონტროლის ძირითადი სახეა განწესის მიერ სამსახურის უშუალოდ პატრულირების მარშრუტებზე (სექტორებში), სტაციონალურ საგუშაგოებზე, აგრეთვე თანამშრომელთა მიერ სხვა, წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების შემოწმება;

3.შემოწმებით დგინდება:

ა) განწესის პროფესიული დონე, საკუთარი მოვალეობისა და ოპერატიული ვითარების ცოდნა (ქალაქში, რაიონში, მარშრუტის, საგუშაგოს ზონაში);

ბ) განაწესის შს სამინისტროს ქვედანაყოფებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინირებული მოქმედება;

გ) პირადი შემადგენლობის, ოპერატიული რეაგირების ჯგუფების რაციანალური განლაგებისათვის გასატარებელი ღონისძიებები, აგრეთვე სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის და ტექნიკური დაცვის საშუალებათა გამოყენების მართებულება.